ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი
ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ს. ა.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.06.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 052/16
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი თ. ჯ. /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 27 ივნისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2013 წლის 18 ოქტომბერს სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ თ. ჯ.-ს, მამის სამკვიდრო წილის მისაღებად. საჩივრის ავტორის განმარტებით, ოფიციალური შეთანხმება არსებობდა მხოლოდ მასსა და ადვოკატ თ. ჯ.-ს შორის. ს. ა.-ს განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა მას, რომ მიმართავდა სასამართლოსა და პროკურატურას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და ადვოკატს შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, ჰონორარი განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის თანხა დავასთან მიმართებით შეადგენდა 1 200 (ათას ორას) ლარს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს გადაეცა ჰონორარი 500 ლარის ოდენობით და სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა - 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით, თუმცა, საჩივრის ავტორის განცხადებით, თ. ჯ.-ს არ განუხორციელებია სამართლებრივი ქმედებები მისი ინტერესების დასაცავად. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ს. ა.-მ განმარტა, რომ ვინაიდან ბანკში

ტექნიკური შეფერხება იყო, სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა (1 200 ლარი) თავად ვერ გადაიხადა, ხოლო სატელეფონო კომუნიკაციის შემდეგ ადვოკატი თ. ჯ. თავად მივიდა განმცხადებელთან და გამოართვა ხსენებული თანხა, რათა თვითონ შეეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში. ს. ა.-ს თქმით, აღნიშნულ გარემოებას დაადასტურებს მოწმე.

1.4 ს. ა.-ს განცხადებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ 2015 წელს განუცხადა მას, რომ კიდევ ერთი სარჩელი უნდა შეეტანა იმავე საქმეზე და ამისთვის საჭირო იყო 600 (ექვსასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით, რომელიც საჩივრის ავტორმა თავად გადაიხადა. ს. ა.-ს განმარტებით,ადვოკატს მოვალეობა კვლავ არ განუხორციელებია.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თავს არიდებდა მასთან კომუნიკაციას. მისი თქმით, ს. ა. ხშირად ეკონტაქტებოდა მისი ძმის ტელეფონიდან ადვოკატ თ. ჯ.-ს და შეხვედრას სთხოვდა, თუმცა, ადვოკატი ატყუებდა, თითქოს ის ყოველ ჯერზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იყო და თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში თვითონ შეხვდებობდა. თუმცა ადვოკატი მას არ შეხვედრია. ს. ა.-ს განმატებით, იგი ადვოკატს უგზავნიდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, მაგრამ თ. ჯ. არ პასუხობდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი მივიდა სასამართლოში, რათა დაედგინა შეიტანა თუ არა ადვოკატმა სარჩელი. ს. ა.თ თქმით, სასამართლომ მას აცნობა, რომ მისი სახელით არანაირი სარჩელი არ იყო შეტანილი სასამართლოში.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატისთვის სულ გადახდილი აქვს ბაჟის თანხა 1 800 (ათას რვაასი) ლარი, ხოლო საადვოკატო მომსახურების თანხა (ჰონორარი) - 500 (ხუთასი) ლარი.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მხარეს შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა მიემართა პროკურატურისა და სასამართლოსათვის, თუმცა, მას პასუხი არ მიუღია.

1.9 ეთიკის კომისიაში განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 11 აპრილს. საჩივრის ავტორი დაეთანხმა მის მიერ ადრე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას და დამატებით მიუთითა, რომ ჰონორარის თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ადვოკატს გადაურიცხა მისმა ძმამ - ჯ. ა.-მ, ხოლო 1 200 (ათას ორასი) ლარისა და 600 (ექვსასი) ლარის გადახდას ესწრებოდა ა. გ.. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატის მითითებით 600 (ექვსასი) ლარი, როგორც სახელმწიფო ბაჟის თანხა გადაიხდა ბანკში. მისივე თქმით, ეს თანხა წარმოადგენდა მეორე სარჩელისათვის განკუთვნილი ბაჟის თანხას.

1.10 ს. ა.-ს განმარტებით, ადვოკატი სხვადასხვა მიზეზებს ასახელებდა საქმის გაჭიანურების გასამართლებად, თუმცა საჩივრის ავტორს მუდმივად უცხადებდა, თითქოს სარჩელი შეტანილი ჰქონდა. ს. ა.-ს განცხადებით, ადვოკატის უმოქმედობის შედეგად გავიდა საქმის განხილვისათვის დადგენილი ვადები, რის შედეგადაც მან დაკარგა სახლი და ამჟამად ცხოვრობს ქირით.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატთან კომუნიკაციის პრობლემა დღემდე არსებობს.

2. მოწმე ა. გ.-ს პოზიცია:

2.1 მოწმე ა. გ.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 06 სექტემბერს (საპროცესო კოლეგიის სხდომაზე) და 2018 წლის 16 აპრილს (განხილვის კოლეგიის სხდომაზე).

2.2 მოწმის განცხადებით, ის და ს. ა. დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს, აქვთ ოჯახებით ურთიერთობა და შესაბამისად, ამით იყო გამოწვეული მისი ჩართულობა მომჩივანის საქმეში.

2.3 მოწმის განმარტებით ადვოკატს თ. ჯ.-სა და ს. ა.-ს შორის ოფიციალური ურთიერთობა, მინდობილობის გაფორმებით დაიწყო 2013 წლის 18 ოქტომბერს. მოწმის განცხადებით, იგი მომჩივან ს. ა.-სთან ერთად იმყოფებოდა ადვოკატ თ. ჯ.-სთან შეხვედრაზე, სადაც ადვოკატს გააცნეს ინფორმაცია ს. ა.-ს სამართლებრივი პრობლემების შესახებ - განუმარტეს, რომ მათ წააგეს სასამართლო პროცესი საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით და აინტერესებდათ შესაძლებელი თუ იყო გარკვეული რაოდენობის პროცენტი მიეღოთ სამკვიდროდან. ადვოკატი თ. ჯ. დაეთანხმა მომსახურებაზე, განუცხადა, რომ საქმეში იყო ხელმოსაჭიდი ინფორმაცია და შეიძლებოდა დავა, ასევე შეიძლებოდა პროკურატურაშიც შეეტანა განცხადება. მოწმის განმარტებით პირველი ეტაპი სასამართლოში სარჩელის შეტანა იყო, რაზეც ადვოკატმა მოითხოვა 1 200 (ათას ორასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით. მოწმის თქმით, მითითებული თანხა განისაზღვრა აუდიტის მიერ ქონების შეფასების მიხედვით, შესაბამისი ღირებულებიდან. ა. გ.-ს განმარტებით, თ. ჯ.-მ მას გადასცა საბანკო ანგარიშის კოდი, სადაც უნდა შეეტანა სახელმწიფო ბაჟის თანხა, თუმცა, თანხის შეტანა ბანკში ტექნიკური შეფერხების გამო ვერ მოხერხდა. ა. გ.-ს განცხადებით, მან აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა ადვოკატს და მისივე ინიციატივით გადასცა თანხა ხელზე, რათა გადარიცხვა თავად თ. ჯ.-ს განეხორციელებინა. მოწმე ა. გ.-ს განმარტებით, აღნიშნული თანხა (1 200 ლარი) მან პირადად, ხელზე გადასცა ადვოკატ თ. ჯ.-ს. თანხის გადაცემას სხვა პირი არ ესწრებოდა. მოწმის განცხადებით, ადვოკატთან ვიზიტის მეორე დღეს იგი მომჩივანთან ერთად მივიდა ნოტარიუსთან ადვოკატის სახელზე მინდობილობის გასაფორმებლად.

2.4 მოწმის განცხადებით, მას, ასევე, მომჩივან სარქის ავაზოვთან ერთად, ადვოკატ თ. ჯ.-სათვის გადახდილი აქვს მეორე სარჩელისთვის მოთხოვნილი თანხა, (ადვოკატის განმარტებით სახელმწიფო ბაჟი) 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, რომელიც ცალკე, მეორე საქმის წარმოებისათვის იყო გათვალიწინებული. ამის შემდეგ მოწმის განმარტებით ს. ა.-მ ადვოკატს სახლში მიუტანა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2.5 მოწმე ა. გ.-ს განმარტებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ დაადო ყადაღა ბინას, რისთვისაც ს. და ჯ. ა.-ებმა გადაიხადეს 50 (ორმოცდაათი) ლარი. მისივე თქმით, ა.-ებმა ადვოკატ თ. ჯ.-ს გადაუხადეს იურიდიული მომსახურების თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2.6 მოწმის განმარტებით, თ. ჯ. აცხადებდა, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილი ჰქონდა და, ვინაიდან საქმე იყო სამოქალაქო, დროში ჭიანურდებოდა. მისივე თქმით, ასევე, აღმოჩნდა სხვა გარემოება და შეიძლება შესატანი ყოფილიყო მეორე სარჩელი, რომლისთვისაც დამატებით გადასახდელი იყო სახელმწიფო ბაჟის თანხა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. მოწმის განმარტებით, აღნიშნული თანხა გადაიხადა თავად სარქის ავიაზოვმა ბანკში. მისივე თქმით, ბანკის ოპერატორმა დანიშნულებაში მიუთითა სახელმწიფო ბაჟის თანხა.

2.7 მოწმის განცხადებით, დაახლოებით ერთი წელი გავიდა სახელმწიფო ბაჟის თანხის სახით 600 (ექვსასი) ლარის გადახდიდან და ამ პერიოდში არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. ამ

მიზეზით, ა. გ., ს. და ჯ. ა.-ებთან ერთად (ძმები), მივიდა სასამართლოში, რათა გაეგო იყო თუ არა სარჩელი სასამართლოში რეალურად შეტანილი. მოწმის განმარტებით, სასამართლოდან მიღებული პასუხის შედეგად აღმოჩნდა, რომ თ. ჯ.-ს ს. ა.-ს სახელით სარჩელი შეტანილი არ ჰქონდა. მოწმის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია უარყო ადვოკატმა და განაცხადა, რომ ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ ელექტრონული ფოსტით გამოუგზავნიდა მათ სარჩელს. მოწმე ა. გ.-ს განმარტებით, ადვოკატმა არც ეს შეასრულა და ამის შემდეგ შეწყვიტა ყოველგვარი კომუნიკაცია კლიენტთან.

2.8 მოწმე ა. გ.-ს განმარტებით, მან ადვოკატ თ. ჯ.-სთან საკუთარი ინიციატივითაც სცადა დაკავშირება, რადგან იცნობდა თ. ჯ.-ს ოჯახს. მოწმე აღნიშნავს, რომ იყო მისული მისი მეუღლის სახლში, სადაც განუცხადეს, რომ იგი გადავიდა საცხოვრებლად დედის მისამართზე. დედის საცხოვრებელ ბინაში მისვლისას ადვოკატი სახლში არ იმყოფებოდა. მისი დედის განმარტებით ის გადასცემდა შვილს დანაბარებს და ადვოკატი დაუკავშირდებოდათ, მაგრამ, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც მათ არავინ დაკავშირებიათ.

2.9 მოწმის განცხადებით, ადვოკატი მუდმივად არიდებდა თავს მასთან შეხვედრას და სატელეფონო კომუნიკაციას.

2.10 მოწმის განცხადებით, სულ ადვოკატისათვის გადაცემულია 1 800 (ათას რვაასი) ლარი ბაჟის თანხა და 500 (ხუთასი) ლარი ჰონორარის თანხა. ამ თანხების გადაცემას მოწმე თავად ესწრებოდა.

3. მოწმე ჯ. ა.ს პოზიცია:

3.1 მოწმე ჯ. ა.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტებისას, 2018 წლის 16 აპრილს განაცხადა, რომ იგი არის მომჩივანის - ს. ა.-ს ძმა. მისმა ძმამ ადვოკატს მიმართა სამკვიდრო წილის მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, მოწმის განმარტებით საქმეში ჩართული იყო ა. გ., რომელიც იცნობდა ადვოკატ თ. ჯ.-ს მამას.

3.2 მოწმის განმარტებით, გაფორმდა მინდობილობა თ. ჯ.-ს სახელზე და ადვოკატს უნდა შეეტანა სარჩელი სასამართლოში, 2013 წლის ნოემბრის თვეში, რათა საქმის განხილვა კანონიერ ვადებში მომხდარიყო. მოწმე ჯ. ა.ს განმარტებით, ადვოკატი აცხადებდა, რომ სარჩელი შეტანილი ჰქონდა, პერიოდულად ეკონტაქტებოდა მხარეს და უცხადებდა, რომ საქმე ჭიანურდებოდა, რადგან სამოქალაქო დავა იყო და ასახელებდა მიზეზებს, მათ შორის, მოსამართლეთა გადანაცვლებას.

3.3 მოწმის განცხადებით, 1 200 (ათას ორასი) ლარი წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟის თანხას, რომელიც ადვოკატის თქმით უნდა შეტანილიყო საქართველოს ბანკში. ჯ. ა.ს განცხადებით, ტექნიკური პრობლემის გამო ა. გ.-მ ვერ გადარიცხა თანხა და შეატყობინა აღნიშნულის თაობაზე ადვოკატს, რაზეც თ. ჯ.-მ განუმარტა, რომ თვითონ შეიტანდა სასამართლოში. მოწმის განმარტებით ადვოკატ თ. ჯ.-ს გადაეცა ეს თანხა - 1 200 (ათას ორასი) ლარი. მოწმის განმარტებით, დამატებით, ადვოკატს გადაეცა ორდერის თანხა 500 (ხუთასი) ლარი, რომელიც უშუალოდ ს. ა.-მ ჩაურიცხა ადვოკატს იუსტიციის სახლში არსებული ბანკის მეშვეობით. მოწმე ჯ. ა.ს თქმით, ასევე, ადვოკატ თ. ჯ.-ს ა. გ.-მ გადასცა 200 (ორასი) ლარი ხარჯებისავის, არაოფიციალურად.

3.4 მოწმის განმარტებით, დრო გაჭიანურდა, რის შემდეგაც ადვოკატმა განუცხადა მათ, რომ სხვა სასამართლო პროცესი იყო ჩასატარებელი და დამატებით იყო საჭირო სახელმწიფო ბაჟის თანხა 600 (ექვსასი) ლარი, რაც გადაიხადა ს. ა.-მ.

3.5 მოწმის განცხადებით, ისინი მიდიოდნენ თ. ჯ.-ს სახლში და ცდილობდნენ კონტაქტის დამყარებას სატელეფონო საშუალებითაც, თუმცა, არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. მოწმის განმარტებით, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ სასამართლოში სარჩელი შეტანილი არ იყო, მათ დაურეკეს თ. ჯ.-ს, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ მეორე დღეს, დილის ათ საათზე შეხვდებოდა მათ სასამართლოში და დაუმტკიცებდა, რომ სარჩელი შეტანილი იყო. თუმცა, მოწმე ჯ. ა.-ს თქმით მეორე დღეს, ადვოკატი შეხვედრაზე არ გამოცხადდა. მოწმის განცხადებით, ადვოკატი ასევე შეჰპირდა საქმის ნომრების ელექტრონული ფოსტით გაგზავნას, მაგრამ აღნიშნულიც არ განახორციელა და კონტაქტზეც აღარ გამოდიოდა.

3.6 მოწმის განმარტებით, სულ ადვოკატს გადაეცა 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობის თანხა. ჯ. ა.ს განმარტებით, იურიდიული მომსახურების მიღება ესაჭიროებოდა მხოლოდ ს. ა.-ს.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიამ ადვოკატ თ. ჯ.-ს 2016 წლის 4 ივლისს გაუგზავნა საჩივარი და განუსაზღვრა ხუთი დღის ვადა ახსნა-განმარტების წარმოსადგენად, თუმცა, ადვოკატს იგი არ წარმოუდგენია. ამის შემდეგ ადვოკატს ეთიკის კომისიის მიერ კვლავ გაეგზავნა წერილი 2016 წლის 31 აგვისტოს სხდომის ჩანიშვნის თაობაზე მისამართზე: ქ. თბილისი, ი.-ს ქ. №X, ბ. NX. გზავნილი ჩაბარდა თ. ჯ.-ს მეუღლეს, თუმცა, ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადებულა. ადვოკატის ალტერნატიული მისამართი და ტელეფონის ნომერი სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში მითითებული არ არის. შესაბამისად, ეთიკის კომისიისთვის უცნობია ადვოკატ თ. ჯ.-ს პოზიცია.

4.2 პირველი კოლეგიის განხილვის სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 21 მარტს, რომელიც ადვოკატის გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო. ადვოკატს სატელეფონო საშუალებით განემარტა, რომ გამოყენებულ იქნა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების'' შესახებ დებულებით გათვალისწინებული ადვოკატის უფლება პირველად, არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის გადადების თაობაზე და ასევე ეცნობა მომდევნო სხდომის ჩანიშვნის თარიღი. ადვოკატმა განაცხადა, რომ მან მიიღო ინფორმაცია და არ არსებობდა მის მიერ სხდომის გაცდენის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება. მომდევნო განხილვის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 11 აპრილს. ადვოკატ თ. ჯ.-ს ეცნობა ინფორმაცია ორივე სხდომის თარიღის შესახებ, (აღნიშულის შესახებ შედგენილია სათანადო ოქმები) სატელეფონო საშუალებით. მიუხედავად ამისა, ადვოკატი არ გამოცხადდა ეთიკის კომისიის არც ერთ სხდომაზე და გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზის დამადასტურებელი საფუძველი არ წარმოუდგენია. ადვოკატს, ასევე, არ წარმოუდგენია რაიმე სახის პოზიცია წერილობითი ფორმით, მიუხედავად მისი არაერთი შეტყობინებისა. შესაბამისად, ეთიკის კომისიისთვის კვლავ უცნობია ადვოკატ თ. ჯ.-ს პოზიცია. ეთიკის კომისიის პირველმა კოლეგიამ 2018 წლის 11 აპრილს ჩაატარა განხილვის სხდომა ადვოკატის

მონაწილეობის გარეშე. ამავე წლის 16 აპრილს განხილვის კოლეგიის მეირ განხორციელდა მოწმეთა გამოკითხვა.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2016 წლის 06 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა თ. ჯ.-მ მომჩივანის საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად და არ ასრულებდა მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ საჩივრის ავტორს და არ დაუბრუნა საქმის მასალები და შესაბამისი თანხა სამართლებრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგ, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. ადვოკატ თ. ჯ.-სა და ს. ა.-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 18 ოქტომბერს, 5 წლის ვადით გაცემული რწმუნებულების საფუძველზე. მინიჭებული უფლებამოსილება მოიცავდა ს. ა.-ს ინტერესების წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმეზე საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის და მოწმეთა ახსნა-განმარტებები,
2. 2013 წლის 18 ოქტომბრის სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა №X(ს.ფ. 7-8)

6.1.2. მხარეთა შორის შეთანხმება არსებობდა კონკრეტულ საკითხზე - კერძოდ, ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სამემკვიდრეო საკითხებთან მიმართებით, რაც მოიცავდა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორი ს. ა.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (11.04.2018)
2. მოწმე ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (06.09.2016)
3. მოწმე ჯ. ა.ს ზეპირი ახსნა-განმარტება (16.04.2018)

6.1.3. საჩივრის ავტორის მხარემ საქმის წარმოებისათვის გადაიხადა შემდეგი ოდენობის თანხები, კონკრეტული დანიშნულებით: 500 (ხუთასი) ლარი ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების თანხა, 1 200 (ათას ორასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის თანხა, 600 (ექვსასი) ლარი დამატებით სახელმწიფო ბაჟის თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სს საქართველოს ბანკის მიერ 2018 წლის 24 აპრილს გაცემული ცნობა, ჯ. ა.ს მიერ თ. ჯ.-სათვის, ს. ა.-ს საქმეზე საადვოკატო მომსახურებისათვის 500 (ხუთასი) ლარის გადახდის თაობაზე (ს.ფ. 28)
2. მოწმე ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (16.04.2018)
3. მოწმე ჯ. ა.ს ზეპირი ახსნა-განმარტება (16.04.2018)
4. 2015 წლის 17 ივლისის სალაროს შემოსავლის ორდერი, ს. ა.-ს საქმეზე 600 (ექვსასი) ლარის სახელმწიფო ბაჟის თანხის დანიშნულებით გადახდის თაობაზე (ს.ფ. 10)

6.1.4. ადვოკატმა თ. ჯ.-მ არ მიმართა სარჩელით სასამართლოს ს. ა.-ს ინტერესების დასაცავად და არ შეასრულა სრულად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საჩივრის ავტორი ს. ა.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (11.04.2018)
2. მოწმე ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (16.04.2016)
3. მოწმე ჯ. ა.ს ზეპირი ახსნა-განმარტება (16.04.2018)
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის №1397716 პასუხი ს. ა.-ს განცხადებაზე (ს.ფ. 9)

6.1.5. ადვოკატი მომჩივან მხარეს არ აწვდიდა/არასწორად აწვდიდა ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ს. ა.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება (11.04.2018)

2. მოწმე ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება. (16.04.2018)
3. მოწმე ჯ. ა.ს ზეპირი ახსნა-განმარტება. (16.04.2018)

6.1.6. ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს - ს. ა.-ს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. მოწმე ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება. (16.04.2018)
2. მოწმე ჯ. ა.ს ზეპირი ახსნა-განმარტება. (16.04.2018)

6.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო გარემოებაა.
მოწმე ა. გ.-მ ადვოკატ თ. ჯ.-ს გადასცა 200 (ორასი) ლარი დამატებით, ხარჯების დასაფარად.

6.2.1 მოწმე ჯ. ა.-მ, 2018 წლის 16 აპრილს, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ზეპირ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ა. გ.-მ თ. ჯ.-ს გადასცა 200 (ორასი) ლარი ხარჯებისათვის.

6.2.2 ადვოკატის პოზიცია აღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით უცნობია, რადგან მას ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

6.2.3 ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა მოცემულ საქმეზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით დამატებითი ხარჯის გადახდის ფაქტი, როგორც ამას მოწმე ჯ. ა. უთითებს. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოება საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით ვერ დგინდება.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

8.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

8.2 განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის განმარტებას, რომ ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს საქმის გარშემო სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის

ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

8.3 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

8.4 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“

8.5 საქმის მიმდინარეობისას, მომჩივანმა ს. ა.-მ წარმოადგინა ორი მოწმე, რომელთაც ჰქონდათ აქტიური შემხებლობა მასსა და ადვოკატ თ. ჯ.-ს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობასთან. პირველი მათგანი იყო ა. გ., რომელიც ადასტურებს საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის ინფორმირებულობის პრინციპის დარღვევას. ასევე, ჩანს, რომ იგი თავს არიდებდა კლიენტთან შეხვედრას და სატელეფონო კომუნიკაციას. მეორე სარჩელისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის - 600 (ექვსასი) ლარის გადახდის შემდეგ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ადვოკატთან არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა, რაც გაგრძელდა სასამართლოდან სარჩელის არარსებობის შესახებ შესაბამისი ცნობის მიღების შემდეგაც. დამატებით, ა. გ.-მ სცადა ადვოკატთან დაკავშირება, საკუთარი ინიციატივითაც, რადგან იცნობდა თ. ჯ.-ს ოჯახს - იყო მისული მისი მეუღლის სახლში, სადაც განუცხადეს, რომ სხვაგან გადავიდა - დედის მისამართზე. ამ მისამართზე მისვლისას ადვოკატი სახლში არ იმყოფებოდა და, დედის განმარტებით, მისვლისას დაუკავშირდებოდა, მაგრამ ეს არ განხორციელდა.

8.6 საქმის მეორე მოწმემ, ჯ. ა.-მ განაცხადა, რომ ის, ს. ა. და ა. გ. იმყოფებოდნენ თ. ჯ.-ს სახლში და ცდილობდნენ კონტაქტს სატელეფონო საშუალებითაც, თუმცა, კვლავ არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ სასამართლოში სარჩელი შეტანილი არ იყო, მათ დაურეკეს თ. ჯ.-ს, რაზეც განუცხადა, რომ მეორე დღეს, დილის ათ საათზე შეხვდებოდა მათ სასამართლოს შენობაში და დაუმტკიცებდა, რომ სარჩელი შეტანილი იყო. თუმცა, მეორე დღეს, ადვოკატი შეხვედრაზე არ გამოცხადდა. ასევე, იგი შეჰპირდა ელექტრონული ფოსტით საქმის ნომრების გაგზავნას, მაგრამ აღნიშნულიც არ განახორციელა და კონტაქტზეც აღარ გავიდა კლიენტთან.

8.7 როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატ თ. ჯ.-ს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები საქმის წარმოების საპროცესო ან განხილვის ეტაპზე წარმოედგინათ მტკიცებულებები. მიუხედავად არაერთი მცდელობისა ეთიკის კომისიის მხრიდან, ადვოკატი თ. ჯ. ეთიკის კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა. ეთიკის კომისიაში ადვოკატის მხრიდან არც ახსნა-განმარტებები არ წარმოდგენილა და, შესაბამისად, არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება.

8.8 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევის ფაქტი.

8.9 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.9.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: “ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.“

8.9.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

8.10 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს, ამის შემდეგ წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

8.11 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

8.12 თ. ჯ.-სა და ს. ა.-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 18 ოქტომბერს, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. მინიჭებული უფლებამოსილება მოიცავდა წარმომადგენლობას საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა, ისევე როგორც მოწმეებმა ა. გ.-მ და ჯ. ა.-მ განმარტეს, რომ ადვოკატს უნდა დაეცვა ს. ა.-ს ინტერესები სამემკვიდრეო დავაში, რაც სხვა ქმედებებთან ერთად მოიცავდა სასამართლოში სარჩელის შეტანას. საჩივრის ავტორის მიერ საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის პასუხი, სადაც მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ს. ა.-ს სახელით შეტანილი სარჩელი არ იყო რეგისტრირებული, ადასტურებს, რომ ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა. განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველი იყო ადვოკატის გარკვეული მითითება სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანის

თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ს. ა. თავისი ინიციატივით არ მიმართავდა სასამართლოს განცხადებით. ასევე, ამ პოზიციას ადასტურებენ მოწმეები - ა. გ. და ჯ. ა.. შესაბამისად, დგინდება, რომ ადვოკატმა თ. ჯ.-მ არ განახორციელა ნაკისრი ვალდებულებები და არ წარმოადგინა ს. ა.-ს ინტერესები სასამართლოში.

8.13 ასევე, განხილვის კოლეგია, აღნიშნულთან დაკავშირებითაც ითვალისწინებს ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ ეთიკის კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმას, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი ეთიკის კომისიის სხდომაზე საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ გამოცხადდა და არც რაიმე სახის განმარტება წარმოადგინა, მასთან დაკავშირების არაერთი მცდელობის მიუხედავად. ეთიკის კომისიის პირველი კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან მსგავსი ქმედების განხორციელება (სხდომებზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, მისი პოზიციის წარუდგენლობა) გამოხატავს მის უპატივცემულო დამოკიდებულებას ეთიკის კომისიის საქმიანობის მიმართ, რითაც ადვოკატი კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოებაში ადვოკატის მიერ საქმის მიმართ არაპროფესიონალური მიდგომის განცდას.

8.14 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

8.14.1. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი: "ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით".

8.14.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი: "ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა იმართებოდეს კეთილსინდისიერად."

8.14.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

8.15 როგორც აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ჯ.-ს გადაუხადა შემდეგი ოდენობის თანხები, კონკრეტული დანიშნულებით: 500 (ხუთასი) ლარი ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების თანხა, 1 200 (ათას ორასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის თანხა, 600 (ექვსასი) ლარი დამატებით სახელმწიფო ბაჟის თანხა. სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა ჯამში 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით, რომელიც ს. ა.-მ გადაუხადა თ. ჯ.-ს, წარმოადგენს მინდობილ ხარჯებს, რომლის განკარგვასთან დაკავშირებითაც ადვოკატს განსაკუთრებული გულისხმიერება მართებს. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია მართოს მინდობილი ხარჯები კეთილსინდისიერად და აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები მის განკარგვასთან დაკავშირებით. მინდობილი ხარჯები არ წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას და შესაბამისად, პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე ადვოკატს

ურთიერთობის შეწყვეტისას აკისრია მისი დაბრუნების ვალდებულება. რაც შეეხება ს. ა.-ს მიერ ადვოკატისათვის ჰონორარის სახით გადახდილ თანხას, აქ მნიშვნელოვანია განისაზღვროს მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების ფარგლები, რათა დადგინდეს გამომუშავებული ჰონორარის პროპორციულობა. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ (იხ. საქმე #დს-შ/7-16, 21.11.2016) იმსჯელა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ "ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა". მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორისა და მოწმეების ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ითვალისწინებდა ს. ა.-ს ინტერესების დაცვას სამემკვიდრეო დავაში. კერძოდ სამემკვიდრეო დავის საკითხებზე სასარჩელო წარმოებას, რაც არ შესრულდა ადვოკატის მხრიდან. შესაბამისად, ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის და სხვა ფულადი სახსრების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება.

8.16 ადვოკატს უფლება აქვს ის სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებისა, გამოქვითოს კლიენტისგან მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს. "აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას" (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #037/14, 10.12.2014, პარ.6.2.).

8.17 კოლეგია ითვალისწინებს მოწმეთა ახსნა-განმარტებებს, რომლის მიხედვითაც ადვოკატს, ზოგადად, ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა საჩივრის ავტორის მხარესთან და თანხების გადაცემიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც კლიენტის მხარე ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შესაძლებელი იყო შესრულებულიყო, ადვოკატმა სრულად შეწყვიტა კონტაქტი ს. ა.-ს მხარესთან. შესაბამისად, ამ მტკიცებულებებიდან გამომდინარე, თ. ჯ.-ს არ დაუბრუნებია მისთვის გადაცემული თანხა, მიუხედავად მოვალეობის შეუსრულებლობისა და სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისა. ასევე, კოლეგია ამ საკითხთან მიმართებითაც ითვალისწინებს ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტებისა და მტკიცებულებების წარმოუდგენლობას. რეკომენდირებულია, რომ ადვოკატმა, როგორც პროფესიონალმა, შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობით დააფიქსიროს კლიენტის მიერ მისთვის რაიმე სახის ფულადი სახსრების გადაცემა და დაბრუნება. აღნიშნული სახის დოკუმენტი ადვოკატს არ წარმოუდგენია.

8.18 ს. ა.-სა და თ. ჯ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ვადამდე, კლიენტის ნების შესაბამისად, რადგან ვერ ხერხდებოდა ადვოკატთან კომუნიკაციის დამყარება. შესაბამისად, ს. ა.-ს მიერ ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი 500 ლარის ოდენობით ვერ ჩაითვლება ადვოკატ

თ. ჯ.-ს მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, რადგან მან სრულად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8.19 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ მიმართა სასამართლოს, ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა კლიენტთან, არ მართა კლიენტის ფულადი სახსრები კეთილსინდისიერად და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ არ დაუბრუნა კლიენტს მისთვის მინდობილი თანხა და გამოუმუშავებელი ჰონორარი, რითიც დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირების, მინდობილი ხარჯების კეთილსინდისიერად მართვისა და ურთიერთობის შეწყვეტისას შესაბამისი თანხების დაბრუნების პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ თ. ჯ. ექვემდებარება დისციპლინირებას.

8.20 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.21 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

8.22 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (იხ. საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017) და განმარტა, რომ "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია."

8.23 მოცემულ შემთხვევაში, რადგან დადგინდა ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ.

8.24 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის

მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

8.25 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

8.26 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი თ. ჯ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინირებული, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლინური სახდელის ფორმა - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 32-ე მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე, 36-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19, მე-20 მუხლებით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ თ. ჯ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/